



N 1/737  
18/12/2014

737-1-2-201412181147



სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო  
რეკომენდაცია

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობას

2014 წლის 18 დეკემბერი

სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ წარმოებაში მიიღო თქვენს მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა ვარკეთილი 3, მე-2 მიკრო რაიონში, #178-ე საჯარო სკოლასთან მდებარე წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიისთვის ფინანსური დახმარების გაწევის თაობაზე.

შუამდგომლობის სრულყოფილი შესწავლის შემდეგ, აღნიშნული საკითხი განსახილველად წარედგინა სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან არსებულ „რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელ სარეკომენდაციო კომისიას“ (2014 წლის 17 დეკემბრის სხდომის ოქმი N2).

კომისიამ დაადგინა, რომ ვარკეთილი 3, მე-2 მიკრო რაიონში, #178-ე საჯარო სკოლასთან მდებარე წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიას ფინანსური დახმარება ესაჭიროება ეკლესიის სოციალური მსახურების განსახორციელებლად, კერძოდ უფასო სასადილოს (სატრაპეზოს) მოწყობისა და ფუნქციონირებისათვის. შესაბამისად, მოგმართავთ

რეკომენდაციით, მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსური დახმარების გაწევის შემთხვევაში, თანხა გამოყოფილ იქნას შესაბამისი მიზნობრიობით და შემდგომი მონიტორინგის უზრუნველყოფით.

პატივისცემით,

ზაზა ვაშაყმაძე

Handwritten signature in blue ink, consisting of a stylized initial 'Z' followed by the name 'ვაშაყმაძე'.

თავმჯდომარე